დაკარგული ქულა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 9 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) 0:0.

“დინამო”: გაგოშიძე, გავაშელი, ჭელიძე, კანთელაძე, ებრალიძე (ქანთარია), მჭედლიშვილი (ლ. ნოდია), გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, მ. მაჩაიძე, წერეთელი.

“დნეპრი”: კოლტუნი, კოვბა, ნაიდა, ბოგდანოვი, პილიპჩუკი, სოლოვიოვი, შნეიდერმანი, ევსეენკო, გრინკო, პორკუიანი, სლობოდინი.

მსაჯი: ვ. ლუშინი (მოსკოვი).

დუბლიორები: 2:1 (1:1). გოლები გაიტანეს მჭედლიშვილმა და ლ. ნოდიამ, სტუმართაგან – პოლევეშნიკოვმა.

ამ ტურში გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ მეტოქეებს. წარმატების შემთხვევაში თბილისელები ხუთიოდე საფეხურით ინაცვლებდნენ წინ გათამაშების ცხრილში. ასევე მნიშვნელოვნად იუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას “დნეპრის” ფეხბურთელებიც. მაგრამ საინტერესო ბრძოლის ნაცვლად სტადიონზე შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი (დაახლოებით 15.000 კაცი) უინტერესო, უღიმღამო თამაშის მოწმე გახდა. ამის დასამოწმებლად ისიც კმარა, რომ პირველი სახიფათო მომენტი სტუმრების კართან “დინამომ” მხოლოდ 30–ე წუთზე შექმნა, 5 წუთის შემდეგ კი მ. მაჩაიძის თავური დარტყმა მეკარე კოლტუნმა კუთხურზე მოიგერია. “დნეპრის” ფეხბურთელები 31–ე წუთზე ახლოს იყვნენ წარმატებასთან, მაგრამ თბილისელთა კართან მარტოდმარტო მდგარი ევსეენკოს მიერ თავურით დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა. ეს იყო და ეს. დანარჩენი დროის მანძილზე თამაში უმთავრესად მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა საკმაოდ დუნედ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მეტოქეები ერთმანეთს საგაზაფხულო საკონტროლო მატჩში ხვდებოდნენ, როცა ფეხბურთელებს დახურული სპორტული ბაზა ახალი დატოვებული აქვთ, პირველად გამოდიან მინდორზე და თამაშში დაშვებული მრავალი წუნიც ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ დროში შეიძლება გამოსწორდეს. მაგრამ ეს ხომ თითქმის შუა სეზონის მატჩი იყო. ახლა ამდენი შეცდომა მეტოქეებს არ ეპატიებათ, განსაკუთრებით დინამოელებს, რომლებიც შინ თამაშობდნენ.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი არ შეცვლილა. ოღონდ ის იყო, რომ მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, იგრძნეს რა ქულის დაკარგვის საშიშროება, დინამოელები გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ მათი იერიშები უფრო ქაოსურ ხასიათს ატარებდა და მოკლებული იყო კონკრეტულ მიზანსწრაფულობას. საქმეს ვერც მოთამაშეთა შეცვლამ უშველა.

თბილისის “დინამომ” დასანანი ქულა დაკარგა. ეს არ მოხდებოდა, გუნდს თავიდანვე შეტევაზე რომ ეფიქრა, ინდივიდუალური გარღვევებით კი არა, კოლექტიური მოქმედებით განეხორციელებინა ჩანაფიქრი. ფრე “დნეპრს” ყოველმხრივ უფრო აძლევდა ხელს და მან საწადელს მიაღწია.

თბილისის “დინამო” ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია, ვინაიდან ტრავმის მიზეზით გუნდს ერთბაშად გამოაკლდა დაცვის ოთხი ძირითადი მოთამაშე. გავაშელის მცველის როლში გამოყვანა სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი.

ახლა თბილისელებს ელით ძნელი ტურნე მეტოქეთა მინდვრებზე. ამიტომ საჭირო იქნება გუნდმა ყველაფერი იღონოს, რათა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესოს. ჩვენს “დინამოს” ამის ძალა შესწევს.

ნ. კავკასიძე.

“ლელო”, 13 ივლისი, 1974 წ.